პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 21 თებერვალი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

40 (1035) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფ. 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მე-8-ე ყრილობა.

ხვალ ქ. თბილისში გაიხსნება საქ. ლენ. ახკომკავშირის ორგანიზაციების მე-8-ე ყრილობა, რომელიც ჯამს გაუკეთებს დღემდე გატარებულ მუშაობას და გამოიმუშავებს მომავალი მუშაობის გეგმებს, იმ საფუძვლებზე, რომელიც დასახა საქ. კომპარტიის მე-14 ყრილობამ.

თითქმის წელიწადნახევარზე მეტია მას შემდეგ, რაც მოხდა მეშვიდე ყრილობა. ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ახკომკავშირის წევრთა რიცხვი იზრდება ნორმალურად. თუ მეშვიდე ყრილობის დროს კომკავშირი აერთიანებდა დაახლოვებით 20 ათას წევრს, დღეს ეს რიცხვი გაზრდილია ორჯერ. დაუღალავი და გეგმიანი მუშაობით განმტკიცდა ყველგან მისი ორგანიზაციები, ამაღლდა კომკავშირელთა მომზადების დონე და მათი აქტივობა.

ამასთანავე ერთად კომკავშირმა მოიხვეჭა ფართო ავტორიტეტი უპარტიო მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის თვალში.

რასაკვირველია, ყოველივე ეს შედეგი იყო იმისა, რომ კომკავშირი საქმით და არა სიტყვით, ყოველთვის და ყოველგან იცავს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ინტერესებს და გადაუხრელად ატარებს ცხოვრებაში ყველა იმ დადგენილებებს, რომელიც ეხება წარმოებაში ჩაბმულ თუ არ ჩაბმულ ახალგაზრდებს.

მთავარი საკითხები, რომელიც იყო კომკავშირის ორგანიზაციების წინაშე—ორგანიზაციების განმტკიცება—გაფართოება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე, ავტორიტეტის ამაღლება უპარტიოთა შორის, კომკავშირელთა ლენინისტურად აღზრდა და ამით პარტიისთვის ღირსეული რეზერვის მომზადება—იმათმა შესძლეს ყველა ამ საკითხების შესრულება და ამით მრავალი ათასი ღირსეული წევრი შემატეს პარტიას.

აქ არ შეიძლება არ შევეხოთ საკითხს, რომელიც ეხება კომკავშირელთა მუშაობას წითელ ჯარში. როგორც ვიცით ამ ჟამად ჩვენი წითელი არმია თავის რიგებში ითვლის მრავალ ასეულ კომკავშირელს. წარსულ გამოწვევასთან შედარებით, უკანასკნელ გამოწვევამ ახკომკავშირლების ბევრად უფრო დიდი რიცხვი მისცა ჩვენს წითელ არმიას. ისინი აქ აწარმოებენ დაუღალავ მუშაობას და მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ნაწილის საერთო საქმიანობაში, რომელიც მიმართულია წითელ არმიელთა აღზრდისაკენ.

გარდა ამისა კომკავშირის ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს ნაწილებს, განსაკუთრებით, ტერიტორიალურ აღმშენებლობის საქმეში. წვევამდელთა მზადება და მისი ნაყოფიერად დაგვირგვინება ყველა წერტებზე—შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მუშაობაში მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას კომკავშირის ადგ. ორგანიზაციები. დღემდე დახმარება ამ დარგში იყო დამაკმაყოფილებელი, მხოლოდ მომავლისათვის კომკავშირმა კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს ეს, და დიდი ყურადღება მიაქციოს წითელი არმიის აღმშენებლობას.

ყრილობის წინაშე სდგას რთული საკითხები და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ეს საკითხები გადაიჭრება ისე, როგორც ამას მოითხოვს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ინტერესები და ჩვენი პარტიის პოლიტიკა.

ჩვენი მხედრული სალამი მე-8-ე ყრილობას და მის დელეგატებს.

## განიარაღება თუ შეიარაღება?

როდესაც ბურჟუაზია და მისი წარმომადგენლები გაიძახიან მშვიდობიანობაზე, ისინი ამავე დროს ომის დიდ სამზადისში არიან.

ეხლა რომ თვალი გადავავლოთ კაპიტალისტურ სამყაროში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ზევით აღნიშნული მოვლენა ნათლად დამტკიცდება. მართლაც, ყოველივე საერთაშორისო აქტს, დაუცის გეგმის შემოღება იყო ეს თუ ლოკარნოს ხელშეკრულება, ბურჟუაზიის წარმომადგენლები მით ათავებდენ ან იწყებდენ რომ ეს მოვლენა (ლოკარნო და სხვა) მშვიდობიანობის დამყარების საქმეს ემსახურებაო.

საქმით კი აღნიშნულმა მოვლენებმა ზავის განმტკიცებას კი არ შეუწყვეს ხელი, არამედ შექმნეს ისეთი პირობები, რომ ჩვენ რამოდენიმე დღის წინეთ კინაღამ შევიქენით იტალია-გერმანიის ომის მოწმეებად.

დღეს ყველგან, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში გაიძახიან განიარაღებაზე. მასზე ლაპარაკი აგერ ნახევარი წელია გრძელდება და კიდევ ვინ იცის როდის უნდა შეიკრიბოს ის უსიცოცხლო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს განიარაღების საკითხი.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ნამდვილი ფაქტები ასეთია: ინგლისში რამდენიმე დღის წინად სამი დიდი ჯავშნოსანი და რამდენიმე ახალი ტიპის წყალქვეშა ნავები ჩაუშვეს. ეს ერთი მეოთხედია იმის, რაც ინგლისის საზღვაო სამინისტროს განზრახული აქვს გააკეთოს 26—27 წ. პირველ ნახევრამდე.

დღეს კი დეპეშები იტყობინებიან, რომ ვაშინგტონში (ამერიკა) სენატს და პალატას გადაუწყვიათ არმიის და ფლოტის შესანახად და გასაძლიერებლად 650 მილ. დოლარი ე. ი, ჩვენი ფულით მილიარდ ნახევარი მანეთი დაახლოვებით. საერთოდ ინგლისის და ამერიკის ბიუჯეტში სამხედრო ხარჯები შეადგენს 20%. მოსალოდნელ ომის საშიშროება ისე დიდია, რომ ამას ინსტინქტურად გრძნობს მსოფლიო პროლეტარიატი. ბოლო დროს ლონდონში ხშირია ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები რომელიც „ინგლისი ომისთვის ემზადება“ ლოზუნგის ქვეშ ჩატარდა.

პირმოთნე ბურჟუაზია მუშათა კლასის დასამშვიდებლად განიარაღების საკითხს იმ ერთა ლიგაში აყენებს, რომლის რწმენა და ნდობა არც მათ აქვთ. ამას თვითონაც არ მალავენ.

მაგალითად იაპონიის დიდი გაზეთი „დჯაპან ტაიმსი“ სწერს საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ და შემდეგს დასძენს: „საბჭოთა კავშირმა უნდა შესცვალოს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი, ამ საერთაშორისო უმაღლეს ინსტიტუციისადმი, მიუხედავად მისი (ერთა ლიგის) სისუსტისა და მრავალი მარცხისა“.

რომ მათ ხელში განიარაღების საქმე წინ არ წავა, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი, ამიტომაცაა რომ მუშათა კლასი თვითონ ღებულობს განიარაღებისათვის ზომებს და პირველ რიგში აყენებს საკითხს მსოფლიო ბურჟუაზიის განიარაღების შესახებ, რაც საყოველთაო განიარაღებას მოასწავებს.

ნ. ჟ.

# ახალი რადიო ამბები

## ბრძოლა ჩინეთში

### მეორე სახალხო არმიამ დაამარცხა უ-პეი ფუს ჯარები

უ-პეი-ფუს ჯარები უკუ აგდო მეორე სახალხო არმიამ სინ-იან-ჩეოუსთან და ხელთ იგდო დამარცხებულ ნაწილების უფროსი.

უ-პეი-ფუმ დაჰკარგა საუკეთესო ძალები და ამ ჟამად აღარ შეუძლია შეტევის დაწყება.

მეორე არმია ძალებს იკრებს და ემზადება კონტრშეტევისათვის.

## პეკინის პრემიერ-მინისტრის გადადგომა

პეკინის მთავრობის პრემიერ-მინისტრი შუ-ში-ინი გადადგა. მოსალოდნელია მთელი კაბინეტის გამოცვლა.

## ფრანკის კურსი თანდათან ეცემა

ევროპის ბირჟაზე ფრანკის კურსი თანდათან ეცემა. ამ უკანასკნელ ხანებში კურსი დავარდა ისე, რომ ასეთი ჯერ არ ახსოვს ბირჟას.

## შემთანხმებელ ლიდერების მოწოდება.

საფრანგეთის პროფკავშირთა შემთანხმებელ ლიდერებმა გამოუშვეს მოწოდება მუშათა ორგანიზაციებისადმი. მოწოდებაში აღნიშნულია ფრანკის კურსის უმაგალითო დაცემა. შემთანხმებელი ლიდერები მოუწოდებენ მუშებს ნუ მოითხოვენ ხელფასის მიღებას ოქროს კურსზე გადაანგარიშებით.

## გემი „თეოდორ ნეტტე“.



ამხ. ნეტტე.
საბჭოთა კავშირის დიპლომატიური შიკრიკი, რომელიც მოკლულ იქნა ამ ხანებში ლატვიის ტერიტორიაზე.

ოდესაში ჩამოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „თეოდორ ნეტტე“ (ყოფილი „ტვერი“,) რომელიც გადაეცა სავაჭრო ფლოტს ლოიდ ტრისტინის (სანაოსნო საზოგადოება) მიერ.

გემზე აღმართულ იქნა სტამბოლში საბჭოთა „ფლაგი“ სტამბოლის გუბერნატორის, ოსმალეთის დაწესებულებათა და საზოგადოებრივ დაწესებულებებს წარმომადგენელთა თანდასწრებით.

გემი ემსახურება ყირიმ-კავკასიის ხაზს.

## შემთანხმებლების მეოხებით

პოლონეთის პროფკავშირთა კომისიაში კომისიის წევრმა ოსტროვსკიმ შეიტანა წინადადება—დაწყებულ იქნას კამპანია პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიისათვის.

ეს წინადადება უარყოფილ იქნა მენშევიკების ხმებით იმ მიზნით, რომ ეს კამპანია წმინდა პოლიტიკურიაო.

## შიმშილით გაფიცვა კრაკოვის ციხეში

კრაკოვის ციხეში (პოლონეთში) პოლიტიკურ პატიმრებმა გამოაცხადეს შიმშილით გაფიცვები. ციხის მცველის მიერ მოკლულ იქნა ერთი პატიმარი.

## ბეტლენი საფრანგეთის შესახებ

უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ბეტლენმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ საფრანგეთს, უცხოელ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევით, დიდი ზიანი მოაქვს მშვიდობიანობის საქმისთვის.

## „თუ არ გვიშველის რეზოლიუცია, მაშინ გვიშველის რევოლიუცია“.

გლეხთა მძიმე მდგომარეობის გამო კობლენცის (გერმანიაში) მიდამოებში გაიმართა ფართე დემონსტრაციები რამოდენიმე ათას მეღვინეს მონაწილეობით. ერთ პლაკატზე იყო შემდეგი წარწერა: „თუ არ გვიშველის რეზოლიუცია, მაშინ გვიშველის რევოლიუცია“.

## პირდაპირი მიმოსვლა ფინეთ-საბჭოთა კავშირს შორის.

აპრილის პირველ რიცხვებში ჰელსინგფორსში (ფინეთში) გაიხსნება ფინეთ-საბჭოთა კონფერენცია რკინის გზის პირდაპირი მიმოსვლის შესახებ.

კონფერენცია განიხილავს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის პირდაპირი მიმოსვლისა და ტეხნიკური ხასიათის საკითხებს.

## საბჭოთა კავშირის კულტურული მიღწევები.

შვეციის სწავლულ ანნი კენზელმა, რომელიც დაბრუნდა სტოკჰოლმში საბჭოთა კავშირიდან, ჟურნალისტებთან საუბარში გაკვირვება გამოსთქვა იმ კულტურული მიღწევებით, რომელიც აქვს დღეს საბჭოთა კავშირს.

კენზელმა განსაკუთრებული კმაყოფილებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის უწყებებში ქალებსაც უკავიათ მაღალი თანამდებობანი.

„ჩვენი დროის რუსეთი—განაცხადა მან—მეტად დაინტერესებულია ხელოვნების, თეატრისა და მუსიკის საკითხებით“.

# საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანება № 96.

1926 წ. 17 თებერვალი, მოსკოვი.

წითელი არმიის მერვე წლის თავის დღესასწაული უნდა ჩატარდეს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა შემჭიდროების ნიშნის ქვეშ.

დღესასწაული ტარდება 21, 22 და 23 თებერვალს, შემდეგი წესის დაცვით:

21 თებერვალს დღისით იმართება გარნიზონის ნაწილების უფ-პოლიტშემადგენლობის საერთო კრებები, სადაც წაკითხული იქნებიან მოხსენებანი წითელი არმიისა, მერვე წლის თავისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის მორიგ ამოცანების შესახებ.

21 თებერვალს, საღამოს, ყველა სამოქალაქო კლუბებში იმართება საღამოები რვა წლის თავის აღსანიშნავათ, შეფობის ქვეშ მყოფ წითელარმიელთა ნაწილების მონაწილეობით.

22 თებერვალს, საღამოს, ყველა კინო-თეატრებში კულტშეფობის წესით, ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცეკას დადგენილების თანახმად, წითელი არმიის ყველა ნაწილებისათვის იმართება სანახაობანი.

23 თებერვალს ყველა ქალაქებში ნაწილებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალაქის საბჭოების საზეიმო სხდომებზე წითელი არმიის 8 წლის თავის აღსანიშნავად.

სამხედრო ნაწილები აღლუმებს არ მართავენ. წითელარმიელთა ნაწილები აწყობენ ექსკურსიებს საშეფო წარმოებებში.

დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მიზიდული უნდა იქნან თადარიგის მეთაურთა შემადგენლობა.

დღესასწაულის დღეს, 23 თებერვალს—გაძლიერებული უნდა იქნას წითელი არმიის კმაყოფა იმ ნორმის მიხედვით, რომელიც დაწესებულია საბჭოთა კავშირის რევ. სამხ. საბჭოს ბრძანებით 1925 წ. № 163.

რევ.-სამხ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

უნშლიხტი.

# ესტონეთის ჯაშუშების გასამართლება.

უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გამოიტანა განაჩენი ესტონელ ჯაშუშების საქმეზე. 13 კაცს მიუსაჯეს დახვრეტა.

დანარჩენებს 10 წლის ციხიდან ქვევით. გამართლებულ იქნა მხოლოდ სტუდენტი ფროლოვი.

# ლაბორატორული მეთოდი სამხედრო მეთაურთა სკოლაში.

(დასასრული იხ. № 32 (1027)-ში.)

წინა წერილში მე შევეხე საერთოდ ლაბორატორულ სისტემას, რა სახითაც ის ტარდება ქართულ სამხედრო სკოლაში. ეხლა კი მსურს შევჩერდე იმ საკითხებზე, რომელიც თვით ლაბორატორულ სისტემას ეხება; მოგეხსენებათ რომ ლაბორატორული მეთოდი ჩაისახა ამერიკაში, ქ. დალტონში, მისი სული ჩამდგმელი იყო პარხესტრის ქალი. მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკის მდიდარ სკოლებს შეეძლოთ ამ მეთოდით ფართოდ სარგებლობა, აქ ეს მეთოდი ფართოდ არ გავრცელებულა, ვინაიდან ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოსათვის ამ მეთოდით აღზრდილი მოწაფეები მაინც და მაინც ხელსაყრელნიც არ იქნებოდენ.

ვერც ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოიკიდა მან ფეხი, ვინაიდგან ბურჟუაზია წინააღმდეგია თავისუფალი აღზრდისა ლაბორატორული მეთოდით, დღეს მხოლოდ ფართოდ სარგებლობს საბჭოთა სკოლები, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი სკოლები ინვენტარის მხრივ, შეიძლება ითქვას ღარიბია. დღეს საბჭოთა ქვეყნების მრავალ სკოლებში, ამ მეთოდით სწარმოებს მეცადინეობა.

სამხედრო სკოლებშიაც ამ მეთოდით მეცადინეობენ. თუმცა ამ მეთოდს ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ უეჭველში ცოტაოდენი ნაკლიც აქვს სამხედრო სკოლის სინამდვილეში, რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. ეს ის არის, რომ ამ მეთოდს შეუძლია დისციპლინის დარღვევას შეუწყოს ხელი უკეთუ იგი შეგნებულად არ იქნება გატარებული. ჩვენ ვიცით, რომ ეს მეთოდი კურსანტებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას მეცადინეობის და გაკვეთის მომზადების საქმეში. რომელიმე საგნის ლაბორატორიაში კურსანტი გაკვეთილის დროს თავისუფლად მოქმედებს, მას შეუძლია მიცემულობის გარშემო, სწეროს, იკითხოს, ხატოს და ხაზოს. მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ზოგიერთი კურსანტი სარგებლობს ასეთი თავისუფალი მუშაობით და დროს ლაბორატორიაში უსაქმოთ ატარებს. ამას თუ მასწავლებელი შენიშნავს, რასაკვირველია ერთგვარ შენიშვნასაც მისცემს, მაგრამ შესაძლებელია მასწავლებელს გამოეპაროს კურსანტის ასეთი უსაქმობა, მაშინ კი, კურსანტის მოვალეობას შეადგენდა თვით შეგნებულად მოკიდებოდა მეცადინეობის საქმეს და ლაბორატორული სისტემა ბოროტად არ უნდა გამოეყენებია.

ეს მით უფრო საჭიროა სამხედრო კურსანტისათვის, ვინაიდან მისი მეცადინეობის დრო თვითეულ საგანში განსაზღვრულია.

მას ამათუიმ მასალის დასამუშავებლად განსაზღვრული საათები ეძლევა და თუ ის ამ საათებით არ ისარგებლებს, ამიტომ მას დაუმუშავებელი დარჩება მიცემულება.

ლაბორატორული სისტემა ხელგამოჭრილია სკოლისათვის, იგი კოლექტივიზმის და საერთოდ კოლექტიური მუშაობის ერთად-ერთი საფუძველია. ეს კი მომავალი მეთაურისათვის საჭიროა და ამიტომ ამ მეთოდსაც დიდი უპირატესობა ენიჭება სამხედრო სკოლებში.

ალ. გორგაძე.

# სამხედრო საქმე.

## როგორ მოქრაობს ქვეითა ნაწილი იერიშამდი.

როგორც ვიცით, შეტევა განირჩევა მიახლოებისაგან იმით, რომ აქედან (შეტევა) დაიწყება მოქმედება ცეცხლის ყველა საშუალებათა, რომლებიც კი მოიპოვებიან ასეულში. წარმატებითი შეტევის პირველი მნიშვნელოვანი პირობაა: სწრაფი, ენერგიული წინსვლა მეომრების და იმავ დროს ტყვიამფრქვევითა და თოფით მარჯვე ცეცხლის წარმოება. ყოველგვარი დაგვიანება, შეფერხება წინსვლაში და მოდუნებული მოქმედება აგრძელებს მტრის ცეცხლქვეშ ყოფნის დროს, ხოლო ეს გარემოება კი იწვევს ზედმეტ მსხვერპლს. ასეულის ცეცხლის საშუალებანი შეტევის დროს, უმეტეს შემთხვევაში, ყველა ერთად არ ღებულობს მონაწილეობას, არამედ ერთგვარი რიგის მიხედვით: ჯერ ჩაებმებიან ცეცხლის შეჯიბრში დაზგის ტყვიამფრქვევები (მაგალითად 2 ვერსის მანძილზე). შემდეგ ხელის ტყვიამფრქვევები (800 მეტრზე) და, ბოლოს, ამუშავდება შაშხანაც (400 მეტრზე).

შეტევაზე გადასულ თვითეული ჯგუფის (მსროლელთა ან მეტყვიამფრქვევეთა ათეული) ძირითადი ამოცანაა—ჩქარა მივიდეს მოპირდაპირემდის იმდენად ახლოს, რომ შეიძლებოდეს ხიშტებით კვეთება. ხოლო ამისთვის საჭიროა თვითეული მსროლელი სცდილობდეს ფარულად და დაუყონებლივ წინ წაწევას. შესვენება შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ მოხერხებულ ზღვარზე, რომლიდანაც ადვილად შეიძლებოდეს მტერზე ზიანის მიყენება თავისი მარჯვე ცეცხლით ანდა მეზობელზე დახმარება წინსვლის დროს.

100—200 მეტრის მანძილზე მოპირდაპირემდის (ადგილ-მდებარეობისდა მიხედვით) თვითეული ნაწილი (ათეული, ოცეული) აამუშავებს ცეცხლის ყველა საშუალებებს, რაც კი მოეპოვება და შეეცდება ჩაახშოს მოპირდაპირის ცეცხლი, დაარღვიოს მისი რიგები, შემუსროს და დაასუსტოს როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად.

ამის შემდეგ სწრაფი და შეუჩერებელი წინსვლით გაანადგუროს მტრის დარღვეული რიგების ნაშთები თავის ხიშტითა და გრანატით.

აი, მოძრაობის ასეთ წესრიგს ხიშტის კვეთების მომენტამდის, ეწოდება ქვეითა ნაწილის შეტევა.

ი. ბ.

# ძიება არმიის თვალი და ყურია.

## როგორი უნდა იყოს ქვეითი მძიებელი.

ამ წერილში საჭიროა ნათელვყოთ—რა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს ქვეითი მძიებელი.

ჩვეულებრივად, მძიებელთა შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეომრის თვისებებს; კარგი სმენა, მხედველობა, ამტანიანობა, გამჭრიახობა, სიმარდე და სხვა ასეთები უნდა ახასიათებდეს მძიებელს. ამას გარდა ქვეითი მძიებელი უნდა იყოს კარგი მეომარი.

ჩვეულებრივად ასე იტყვიან მძიებლების შესახებ: „ყველა მეომარს არ შეუძლია იყოს კარგი მძიებელი, მაგრამ თვითეული მძიებელი უნდა იყოს კარგი მეომარი“. ეს სიტყვები გვიჩვენებენ იმას, თუ რა მაღალი მომზადება უნდა ჰქონდეს თვითეულ ქვეითა მძიებელს. მძიებლის ზემოაღნიშნულ თვისებებს საჭიროა დაუმატოთ კიდევ შემდეგი: მძიებელი უნდა იყოს მშვიდი და მასთან შეუდარებელი გამბედავი. დღეღამის ყოველ წუთს, ყოველ ალაგას, სადაც არ უნდა მოხდეს მძიებელი მარტოდ-მარტო, საკუთარი თავის ამარა, უნდა შეეძლოს მოსაზრება იმის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოიტანოს.

ქვეითი მძიებელს, ცხადია, მეტი მოეთხოვება, ვინემ უბრალო ქვეით—ჯარისკაცს.

თუ რომ ჩვეულებრივი, მეორიგე ქვეითი მეომარი ხშირად ჰგრძნობს და ჰხედავს მის გვერდით უახლოეს უფროსსა და მეზობელ ამხანაგს და, თუ რომ ეს მეომარი ხანდახან დაიბნევა და ვერ მოისაზრებს ერთბაშათ რაშია საქმე, იმ შემთხვევაში მისი მეზობელი ამხანაგი მიეშველება მას და უხსნის, ხოლო უახლოესი უფროსი გასცემს თავის დროზე განკარგულებას და კარგად ახსნის და გააშუქებს მდგომარეობას.

აქ ქვეით მეომარს არ გაუჭირდება მოქმედება და აასრულებს ყველაფერს ისე, როგორც ეს საჭიროა.

მძიებლის შესახებ ამის თქმა შეუძლებელია.

მოპირდაპირე, ცხადია, მოხერხებულ დროს უცდის. თუ რომ მძიებელი შიშის გამო შეყოყმანდა და შეფერხდა მისი მოქმედება, ეს ბევრს ნიშნავს მტრისთვის. აქ სარგებლობის მაგივრად მძიებელი მოუტანს საქმეს მხოლოდ ზარალს, ხოლო ხშირად კი დაიღუპება.

ქვეითი მძიებელი პასუხისმგებელი მეომარია და მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული ბრძოლაში.

ყოველგვარი ბრძოლა, ლაშქრული მოძრაობა და დაცვის საქმე მოითხოვს მტრის მოთავსების ადგილისა და ძალების გამორკვევას, ურომლისოდაც არც ერთი უფროსი არ დაიწყობს ბრძოლას, ხოლო თუ დაიწყებს—უმეტეს შემთხვევაში წარმატება სათუო იქნება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ მოთხოვნილებებს ქვეითი მძიებელი აასრულებს მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ.

ამ მხრივ დიდ დახმარებას გაუწევს სხვა და სხვა სახის ნადირობა. თუ რომ მძიებელი შესძლებს იპოვნოს კვალი ძხეცის და მოჰკლას, იმ შემთხვევაში მტერიც კი ვერ წაუვა მას ადვილად. მართალია, აქ განსხვავებაც არის. მაგალითად ნადირი ან ფრინველი მძიებელზე არ ნადირობს და არ ესვრის (როგორც ამას მოპირდაპირე სჩადის), მაგრამ სამაგიეროდ ნადირობა წვრთნის და ავითარებს მძიებელს და აჩვევს მას ამტანიანობას.

ი. ბ.

# მუშურ-გლეხური რევოლიუციის არმია.

წითელი არმია გამოიჭედა მუშურ-გლეხური რევოლიუციის ცეცხლში. ის არის შვილი რევოლიუციის, შვილი მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის.

მუშურ-გლეხურმა ოქტომბერმა წაართვა კაპიტალისტებს, თავადებსა და ბობოლებს მიწა. ოქტომბერმა წაართვა მემამულეებსა და კაპიტალისტებს სახელმწიფო ძალა-უფლება.

როგორც ქოფაკები, რომლებსაც პირიდან გამოსტაცეს ძვალი, ისე დაესიენ რევოლიუციას, გათავისუფლებულ მუშებსა და გლეხებს რევოლიუციის მტრები. მემამულეები, კაპიტალისტები, გამცემელი—ესერები და მენშევიკები, ხუცები, რომლებმაც დაჰკარგეს „ალიალი“ შემოსავალი, გენერლები, რომელთა ეპოლეტები ძირს დაანარცხა რევოლიუციის გრიგალმა ბობოლები და სხვა—მთელი ეს კონტრრევოლიუციური ხროვა დაეხვია ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას. ხოლო მთელ ამ ხროვას ზურგს უმაგრებდა საერთაშორისო კაპიტალი.

რევოლიუციის მოგერიებაში, ოქტომბრის მონაპოვართა დაცვაში, უამრავ და სამხედრო საქმეში გამოცდილ მტრებთან სასტიკ ბრძოლაში დაიბადა, გაძლიერდა და გამოიბრძმედა არმია რევოლიუციის—წითელი არმია.

დამარცხებიდან გამარჯვებისკენ, დაბრკოლებიდან წარმატებისკენ, რევოლიუციის წითელი ვარსკვლავით გაჩირაღდნებული წინ მიიწევდა ჩვენი არმია. არა ყაზარმაში, არამედ ბრძოლის ველზე სწავლობდა და იზრდებოდა ჩვენი არმია.

ვინ შთააგონებდა და უნერგავდა მას გამარჯვების წყურვილს?

თვით ხალხი, მუშები და გლეხები, ქვეყნად ჯერ არ ყოფილი მუშურ-გლეხური რევოლიუცია.

ვის მიჰყავდა ისინი გამარჯვებისკენ?

კომუნისტურ, ბოლშევიკურ პარტიას,—მუშურ-გლეხური მასების ბელადს.

და წითელ ლეგიონებმა განდევნეს ვოლგიდან კოლჩაკი და დაასაფლავეს მისი ბანდები ციმბირის გაუვალ ტყეებში. ტულიდან ზღვაში გადაისროლეს გენერალი დენიკინი, ლენინგრადიდან ესტონეთში—იუდენიჩი. წითელ ლეგიონებმა გასწმინდეს საბჭოთა მიწა კონტრ-რევოლიუციურ უწმინდურებისაგან და იდღესასწაულეს თავისი გამარჯვება პერეკოპით.

რითაა ძლიერი ჩვენი წითელი არმია? არა ყუმბარებით, არა ტანკებითა და ადამიანთა საჟლეტი სხვადასხვა იარაღებითაა ძლიერი წითელი არმია. ასეთები ბევრით და ბევრით მეტი მოეპოვება კაპიტალისტურ ქვეყნებს, ვინემ ჩვენ.

წითელი არმია ძლიერია მტკიცე კავშირით იმ გალხთან, რომლისგანაც ის (არმია) გამოვიდა, რომლის რევოლიუციური ნებითაც ის დაიბადა. ჩვენი არმია მუშურ-გლეხურია თავიდან ბოლომდი. აი რითაა ის ძლიერი. არა იმისთვის არსებობს ჩვენი არმია, რომ დაიპყროს სხვა ხალხები და წაალეკოს მათ მიწები. დაიცვას თავისუფალი შრომა მუშურ-გლეხური ქვეყანა, ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა ქვეყნის დამოუკიდებლობა—აი რატომ გვყავს ჩვენ წითელი არმია. ეს კარგად იცის თვითეულ წითელ არმიელმა. ჩვენ მოვახდინეთ დიდი რევოლიუცია, გავსწმინდეთ ქვეყანა ჩაგვრელთა მყრალი ლეშისაგან. დღეს კი ჩვენ გვინდა ავაგოთ თავისუფალ მიწაზე ახალი, სოციალისტური მეურნეობა. დიე, ხელს ნურავინ გვიშლის... მამაგრამ თუ ვინმე ამას გვბედავს—ჩვენ გვყავს არმია, შექმნილი რევოლიუციის ცეცხლში.

ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა. ჩვენ მთელს ქვეყანაზე მეტად შევამცირეთ არმია. ჩვენ მზად ვართ სულ განვიარაღდეთ, თუ კი ასევე მოისურვებენ კაპიტალისტური ქვეყნების მბრძანებლები.

მაგრამ ისინი ამას არ მოისურვებენ; მათი ბუნება ისეთი არაა, რომ განიარაღდენ და მშვიდობიანად იცხოვრონ. დედამიწაზე მშვიდობიანობა მაშინ დამყარდება, როცა აღარ იქნებიან ისინი, როცა მთელი ქვეყანა გახდება მუშურ-გლეხური. ხოლო მანამ კი ჩვენ ვეუბნებით საბჭოთა ქვეყნის სახელოვან რევოლიუციურ მცველს:

„დიე, წითელ არმიას მძლედ ეჭიროს ხიშტი თავის დაკორძებულ ხელებში“.

მუშები და გლეხები მასთან არიან.

ი. ფ—ი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ს.ა.ლ.კ.კ. მე-VIII ყრილობა

**22 თებერვალს, ტფილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მე-8 ყრილობა**

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. მიმდინარე მომენტი და პარტიის პოლიტიკა.
2. ცეკას ანგარიში.
3. პიონერთა ცენტრალურ ბიუროს თანამოხსენება.
4. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება.
5. ეკონომიური მუშაობის მორიგი ამოცანები.
6. არჩევნები ცენტრალური კომიტეტის და დელეგატების ამიერ-კავკასიის და საკავშირო ყრილობებზე.

ც. კ. მდივანი დარახველიძე.

## სადღესასწაულოდ ვემზადებით.

1-ლი ლეგ. 5-თე ასეული.

აღნიშნულ კომუჯრედში მოწვეული იქნა გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება არმიისა და საბჭოთა საქართველოს მომავალი დღესასწაულების მნიშვნელობაზე.

წითელ არმიელებს მთელ რიგ მომხსენებლებმა დაწვრილებით განუმარტეს თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში როგორ მიღწევამდე მივიდა საბჭოთა საქართველო და რა კეთდება ჩვენი მშრომელი ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორც მატერიალური, ისე კულტურული მხრით. განსაკუთრებით ნათელი და შესამჩნევი შეიქნა ყველა მიღწევები, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეხლანდელი მდგომარეობა შეუფარდეს მენშევიკური დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობას.

ვრცლად შეეხნენ აგრეთვე წითელი არმიის რვა წლის თავს. დაახასიათეს წითელი არმიის როლი მშრომელთა სახელმწიფოს გამარჯვებაში და მკაფიოდ აღინიშნა თუ რა მიზნები აქვს წითელ არმიას მომავლისათვის დასახული და რა უნდა ქნას მათ მისაღწევად.

იყო მრავალი შეკითხვები. ეტყობოდა უპარტიო წითელ არმიელები ინტერესით ადევნებდნენ ყურს დიდი დღესასწაულების შესახებ მოხსენებებს.

სამხკორი მთისპირელი.

## ჩვენი მუშაობა უპარტიოთა შორის.

მე-3 ლეგიონი

ამ რამოდენიმე დღის წინად ლეგიონის მეშვიდე ასეულის ახკომკავშირის გაერთიანებულ კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენებები იმ ამხანაგებისაგან, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ლენინის კუთხეებში მუშაობის წარმოება, საუბრების და ხმამაღალი კითხვის ჩატარების სახით. გამოირკვა, რომ ამხანაგებს ყოველგვარი საშვალების და ხერხისთვის მიუმართავთ, რომ ბრწყინვალეთ დაემთავრებიათ მიცემული დავალება. კრებამ ერთხმად მოიწონა მათ მიერ ჩატარებული მუშაობა.

შემდეგ გარჩეული იქნა კომუჯრედის თებერვლის თვის სამუშაო გეგმა. კრებამ საჭიროდ სცნო ოცეულის მეთაურ ჯიქიძის გამოყოფა, რომელსაც უნდა დაევალოს სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის გაბმა და სამხედრო წრის მოწყობა, სადაც ვაწარმოებთ მოსახლეობასთან საუბრებს გასამხედროების შესახებ.

კრებამ დაადგინა აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარებთან სამეცადინოთ აქტიურ კომკავშირელთა ჯგუფის გამოყოფა.

დასასრულ ილაპარაკეს აგრეთვე დისციპლინის შესახებ და გაფრთხილებული იქნენ ამხანაგები მოერიდონ კრებებზე დაკლებას და დაგვიანებას.

სამხკორი ნინუაკუთხელი.

## ჩვენი ცნობათა ბიუროს მუშაობა.

1-ლი ლეგ. 4 ხე საგაუბიცო ბატარეა.

ბატარეიაში კარგა ხანია, რაც არსებობს ცნობათა ბიურო, რომელშიდაც მეთაურებს გარდა შედიან, წითელი არმიელებიც. ბიურო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში შესაფერად მოქმედებდა და პირნათლად ასრულებდა ყველა დავალებებს. ყველა ის დადგენილებები, რომლებიც კი გამოუშვია მთავრობას წითელ არმიელების და მათი ოჯახების შესახებ შეღავათებზე, ცნობათა ბიუროს აუხსნია და გასაგებათ გადაუცია—გაუკვნია წითელ არმიელებისათვის. წითელ არმიელებზე რჩევა დარიგებების მიცემას ბიურო გულმოდგინეთ ასრულებს და არ ყოფილა ერთი შემთხვევა, რომ მას შესაფერი ზომები არ მიეღოს წითელ არმიელების განცხადებებზე.

იმედია ბიურო ჩვეულებრივი მონდომებით განაგრძობს თავის საქმეს და ხელს შეუწყობს წითელ არმიელთა დახმარების საქმეს.

წ. არმ. ზრ. ბარათაშვილი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## წარმატებით ვმეცადინეობთ.

სამხედრო პოლიტსკოლა

სკოლაში წარმატებით მიმდინარეობს მეცადინეობა, უფროსი კურსის კურსანტებმა უკვე დაამუშავეს პროგრამის მიხედვით თემების მთელი რიგი.

კურსანტები იმდენად მომზადებულნი არიან, რომ დამოუკიდებლად შეუძლიათ თემების დამუშავება. ამ ჟამად გავდივართ მუშათა მოძრაობის ისტორიას, პოლიტ-ეკონომიას და სხვა.

ახლოვდება კურსების გამოშვების დრო. ყოველგვარი ზომებია მიღებული იმისათვის, რომ შესაფერი ხელმძღვანელები იქნენ გადაგზავნილი წითელი ჯარის აღმზრდელებად.

უმცროსი კურსანტებიც გაყოფილი არიან ორ ჯგუფად. ორივე ენერგიულად მუშაობენ. შემოღებულ იქნა გაკვეთილების თემებად დამზადების სისტემა, რამაც კარგი შედეგი მოიტანა.

კურსანტები თვითონ აკეთებენ მოხსენებებს და შემდეგ იმართება კამათი.

უკანასკნელ ხანებში მაინც სკოლაში ძლიერ გამოცოცხლდა მეცადინეობა.

სამხკორი გ. ჩიტიაშვილი.

## გრძელ ვადიან შვებულებაში წასულ წითელ-არმიელთა წერილებიდან.

4-ხე ლეგ. 9-რე ასეული

გასულ წელს ასეულმა გაუშვა ძირედ შემადგენლობის წითელ-არმიელები გრძელ-ვადიან შვებულებაში, რომლებსაც მიეცათ სხვა და სხვა დავალებები სოფლად-გლეხებს შორის მუშაობის შესახებ.

მას შემდეგ ამ ამხანაგებს არ გაუწყვეტიათ კავშირი თავის ყოფილ ასეულთან და კერძო წერილებში ხშირად გვწერენ თავიანთ მუშაობის შესახებ. თან გვთხოვენ რჩევა დარიგებებს სხვა და სხვა საკითხებზე. ასეულიც ყოველთვის სიამოვნებით ასრულებს მათ თხოვნას.

აი რას იწერება წითელ არმიელი ვ. ქლენტი: „ჩამოსვლისთანავე შევუდექით გლეხებს შორის მუშაობას და ვატარებთ ცხოვრებაში ყველა იმ დავალებებს, რომელიც მივიღეთ ჩვენი უფროსებისაგან. მოვაწყვეთ სოფელში სამხედრო კუთხე. გლეხები დიდი თანაგრძნობით ხვდებიან ჩვენს საქმიანობას. ჩაეწერენ სამხედრო კუთხეში და ყოველთვის ესწრებიან ჩვენს საუბრებს. ასე ვატარებთ თქვენს დავალებებს“.

მეორე წითელ არმიელი ამხ. იოსებ შარმიაშვილი იწერება— „რომ ჩამოსვლისთანავე შევუდექით სოფელში ლენინის კუთხის მოწყობას. მუშაობას ვხე მძღვანელობდი პირადათ. გლეხებს როდესაც გავაცანით ჩვენი მიზანი, სიხარულით გვიწევდენ ყოველგვარ დახმარებას. განსაკუთრებით დიდი თანაგრძნობით შეგვხვდა სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც ყოველთვის ჩვენთან არიან და ჩვენი ხელმძღვანელობით ვეწევით კულტურულ და სხვა საქმიანობას“.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

**წვევამდელებო! მეცადინეობა უკვე დაწყებულია. დაიჭირეთ კავშირი თქვენს გაზეთთან და მოგვაწოდეთ კორესპონდენციები თქვენი ყოფა-ცხოვრებიდან.**

## ლეგ. კედლის გაზეთის ლიკვიდაცია აუცილებელია*)

ჩვენს გაზეთ „წითელი არმიელი“-ს ფურცლებზე თავსდება წერილები ზოგიერთ პასუხისმგებელ მომუშავეებისაგან ლეგიონის კედლის გაზეთის ლიკვიდაციის შესახებ.

მე მგონია ამ საკითხში ჩვენ დავიგვიანეთ. საჭირო იყო უფრო ადრე ლაპარაკი ამაზედ. ეხლა ჩვენ დაგვრჩენია მარტო დადასტურება ამ ლიკვიდაციისა.

ჩვენმა ახალმა სამხედრო ორგანიზაციულმა წყობამ და ნაწილების სამუშაო პირობებმა პირდაპირ უარყო ის, შინაარსი გამოაცალა და გამოფიტა. დღეს ეს გაზეთი არავითარ რეალობას არ ატარებს და ის გადაიქცა ჩვენი მუშაობის პირობებში წერტების კედლის გაზეთების უშინაარსო დამატებათ.

როგორც ვიცით ჩვენი ნაწილები დაქსაქსულია. ყველა ცალკე ნაწილებს უხდებათ განსაკუთრებულ პირობებში მუშაობა და რაც არ უნდა ავიღოთ თუ კინდ კედლის გაზეთიც, ის თავის შინაარსით უნდა ეფარდებოდეს ადგილობრივ მუშაობის პირობებს და ადგილობრივ მდგომარეობას.

როცა ლეგიონის მასშტაბით კედლის გაზეთი გამოდის, ჩემი აზრით, ნაწილობრივათ ის ინიციატივას ართმევს წერტების და ასეულების ადგილობრივ კედლის გაზეთებს.

ეს ფაქტი საშინლად ეწინააღმდეგება ლეგიონის კედლის გაზეთის არსებობას.

ამ საკითხში მე ვეთანხმები ამხ. იმნაიშვილს და სხვიტარიძეს და ვამბობ: საჭიროა ლეგიონის კედლის გაზეთის ლიკვიდაცია და ამ საკითხში სრული ინიციატივის მიცემა ასეულებსა და წერტებისათვის.

მე ამხ. იმნაიშვილს იმ საკითხშიაც ვეთანხმები, რომელიც ეხება სამეულის დაარსებას, იმ შემთხვევაში თუ მას სამეულების დაარსება და მისი ამოცანები ესმის ისე, როგორც სპეციალური ხელმძღვანელი ორგანიზაცია. ჩემის აზრით ეს აუცილებელია. აუცილებელია იმიტომ, რომ ამით ხდება მუშაობის ცენტრალიზაცია.

მე მგონია საკითხის და მუშაობის ასე დაყენება ადასტურებს ლეგიონის გაზეთის ლიკვიდაციის საქმეს და მუშაობის სიმძიმე გადააქვს ასეულებისა და წერტების კედლის გაზეთებზე.

ჩემი შეხედულებით საჭიროა ამ საკითხზე ალაპარაკება ნაწილების მომუშავე ამხანაგების, რომ ამით საერთო ლ დგენილება გამოვიტანოთ სახკორთა და კედლის გაზეთების მომუშავეთა მომავალ თათბირზე.

ი. ნანაძე.

*) კამათის წესით.

რედაქცია სთხოვს ძირითად ლეგიონებში მომუშავე ამხანაგებს გამოსთქვან თავიანთი შეხედულება ამის შესახებ.

## გაჩაღდა მუშაობა.

მე-2-რე ლეგიონის 1-ლი ასეული.

თითქმის ორი თვე გადის მას შემდეგ, რაც ჩვენ ლეგიონში ასეულის მასშტაბით გამოდის კედლის გაზეთი ყოველ ორ კვირაში.

გაზ სახელწოდებაა-„ოქტომბრის სადარაჯოზე“. პირველ ხანებში გაზეთს არ ყავდა აქტიური თანამშრომლები. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ასეულის შემადგენლობა იყო ახალწვეულებით შევსებული და თანაც არ იცოდენ კედლის გაზეთის მნიშვნელობა; ამისათვის პირველი ორი ნომრის შევსება მოუხდა უფპოლიტ-შემადგენლობას, მაგრამ მალე ამ მოვლენასაც მოეღო ბოლო.

ამ ჟამად თითქმის მარტო წითელ არმიელები ავსებენ გაზეთს წერილებით. აქტივი ამხანაგების რიცხვი თანდათან დიდდება. მალე მივაღწევთ იმ მდგომარეობას, რომ ერთ საუკეთესო ადგილს დაიჭერს ლეგიონში ჩვენი მომზადება.

სასურველია, რომ კედლის გაზეთის რედ-კოლეგია გამოიჩენდეს მეტ ენერგიას ამ მუშაობაში და უფრო მეტად შეუწყონ ხელი წითელ არმიელების მიზიდვის საქმეს მუშაობაში.

სამხკორი ნაძალადევისპირელი.

## ბიბლიოთეკა ღირსეულად გვემსახურება.

მე-3 ლეგიონი.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო ძლიერ ლამაზად არის მოწყობილი. ჟურნალ-გაზეთები თავის დროზე მოგვდის. წიგნები მრავლად მოიპოვება და უხვად სარგებლობენ წითელარმიელები. ბიბლიოთეკაში 4 დარბაზია. ერთი თვით წიგნთსაცავისათვის, მეორე სამკითხველო, მესამე კლუბთან არსებული სამკითხველო და მეოთხე გასართობი დარბაზი, სადაც სწარმოებს დამკაზე, ნარდზე და შახმატით თამაში.

მკითხველთა რაოდენობა აღწევს 1203 კაცამდე. ქართული წიგნების რაოდენობა აღწევს 2995 ეკზემპლიარამდე და რუსული კი 1203 წიგნამდე. ყოველდღიურად გადის ბიბლიოთეკიდან 35—40 წიგნამდე.

ერთია მხოლოდ, სამწუხაროდ მკითხველები კარგად ვერ უვლიან წაღებულ წიგნებს და თავის დროზეც იშვიათად აბრუნებენ. ამას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

კარგი იქნება ბიბლიოთეკაში გამოიყოფოდეს სპეციალურად წითელარმიელებისათვის კუთხე, სადაც მოგროვდება შესაფერი ლიტერატურა. სამკითხველოს მუშაობა საერთოდ გეგმიურად სწარმოებს. ხშირად ეწყობა გასამართლებები. ლენინის კუთხეებს შესაფერი ხელმძღვანელობა ეწევა, რომელიც თუ კიდევ გაძლიერდება უფრო მეტს მოვიგებთ.

სამხკორი გოგიტიშვილი.

## ავიოქიმის უჯრედის წევრთა რიცხვი მატულობს.

5-ე ლეგიონი.

ავიოქიმის უჯრედის მუშაობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამოცხოველდა ჩვენს ლეგიონში, რაც მოვიდენ შემოდგომაზე გამოწვეული წითელ არმიელები. ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული, რომ თავიდანვე მიგვეზიდა და დაგვეინტერესებია ამხ ნაგები ამ მნიშვნელოვანი ორგანიზაციის საქმიანობით.

10 თებერვალს ლეგიონში შესდგა ყველა ნაწილების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ხსენებულ უჯრედის მდივანი გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით უჯრედის საქმიანობის შესახებ. ამხ. დაწვრილებით შეეხო წარმოებულ მუშაობას და მიღწევებს. აღნიშნა თუ როგორ დაიწყო მუშაობა ახალ წვეულებში და როგორ ხვდებოდენ მას ისინი. ხაზი გაუსვა ამასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს და მრავალი სხვა.

კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო უჯრედის მუშაობა და არჩეული იქნა ახალი ბიურო ხუთი კაცის შემადგენლობით.

ავიოქიმის უჯრედის წევრთა რიცხვი უკანასკნელ ხნებში მაინც ძლიერ იზრდება. მალე მთელი ლეგიონის შემადგენლობა გახდება წევრებათ და თუ შესაფერი მუშაობაც დაიწყო უჯრედში, იმედი გვაქვს მალე მივაღწევთ მიზანს.

სამხკორი მ. ჭყონია.

## სამხკორის კუთხე

### მტკივნეული საკითხი.

ჩვენი ჯარის ნაწილიდან ერთ-ერთი სამხკორი გვწერს შემდეგს: „მე ეს ერთი ხანია გიგზავნით კორესპონდენციებს, მაგრამ გადის დრო და მას არც გაზეთში ბეჭდავთ და არც მეპასუხებით ფოსტაში. ამის შემდეგ მე იძულებული ვიქნები დავანებო თავი სამხკორობას“.

თუ ღრმად ჩაუკვირდებით ამ საკითხს დავინახავთ, რომ სამხკორი, რომელიც ამას გვწერს სავსებით მართალი არ არის. უპირველეს ყოვლისა ის მოვალეა განაგრძოს მუშაობა და ამასთანავე ერთად კარგად გაიგოს, თუ რაა იმის მიზეზი, რომ მისი კორესპონდენცია იკარგება უგზო უკვალოდ. თითეული სამხკორი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ რედაქცია, თუ კი მას მიაღწევს კორესპონდენცია, არ დაკარგავს არც ერთ ცალს. მიღებულ კორესპონდენციას ან დაბეჭდავს, ან და უპასუხებს სამხკორს „ჩვენს ფოსტაში“ აუცილებლად.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ხშირია შემთხვევა, რომ სამხკორისაგან გაგზავნილი კორესპონდენციები იკარგება გზაზე და ვერ აღწევს რედაქციამდე. აშკარაა ამაში არც სამხკორია დამნაშავე და არც ჩვენი გაზეთის რედაქცია.

ჩვენ ვღებულობთ ყოველგვარ ზომებს, რომ სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და გამოასწორონ ეს ნაკლი.

გარდა ამისა არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი სამხკორი გვიჩივის ჩვენ, მისი კორესპონდენციის არ დაბეჭდვისათვის. კარგად გამოვიძიებთ ამ საქმეს, მოვსძებნით მის კორესპონდენციას წარსულ ნომრებში და ვნახავთ, რომ მისი კორესპონდენცია ჩვენ უკვე დაგვიბეჭდია ჩვენს გაზეთში. დამწერს კი ის ვერ წაუკითხავს სხვა და სხვა მიზეზების გამო.

ერთი სიტყვით ამ საკითხში არის ბევრი გაუგებრობა და ამ ნიადაგზე წარმოებული უკმაყოფილება და გაუგებრობა ადგილზე. საჭირო იქნება სამხკორ-ორგანიზატორებმა ამ საკითხს მიაქციონ დიდი ყურადღება, გამოარკვიონ მისი მიზეზები დაწვრილებით, ჩვენთან დაკავშირების საშუალებით და ამით ბოლო მოუღონ გაუგებრობას ამ დარგში. სამხკორები კი ვალდებული არიან განაგრძონ თავიანთი მუშაობა და ასეთ შემთხვევებში მიმართონ სამხკორ—ორგანიზატორებს დახმარებისათვის.

მი.

## დისციპლინა ზედმიწევნითაა დაცული.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონის რიგებში თანდათან მტკიცდება ნამდვილი ამხანაგური და შეგნებული დისციპლინა. ლეგიონის მეთაურებისა და პოლიტიკური შემადგენლობის მოპყრობა ამას თავიდანვე უწყობდა ხელს. ისინი თავიდანვე გულდიათ და დიდი მზრუნველობით მიუდგენ წითელ არმიელების აღზრდის საქმეს, რამაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო. როგორც სამხედრო კომისარი ისე, ლეგიონის თავი ხშირად მოდის წითელ არმიელებთან, ჩამოივლიან ლენინის კუთხეებს, ათვალიერებენ კითხვა პასუხების რვეულებს, იძლევიან წითელ არმიელების შეკითხვებზე ამომწურავ პასუხს და თვითონვე ეკითხებიან წითელ არმიელებს მათი ცხოვრების შესახებ. ამხანაგები ამნაირად ყოველთვის დაწვრილებით ეცნობიან ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, რაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს წითელ—არმიელებზე.

თუ რაიმე უკმაყოფილებას ექნება ადგილი წითელ არმიელებში, ისინი წამსვე იძლევიან განკარგულებას და თავის დროზე გვარდება ყველა ნაკლულევანებანი.

ყველა ამან ის შედეგი მოგვცა, რომ ლეგიონში არ ყოფილა დისციპლინის დარღვევის ერთი შემთხვევაც კი.

სამხკორი გასამდო.

## დიდი ყურადღებით გვექცევიან

1-ლი ლეგიონის სკოლა.

აგერ ოცი დღე შესრულდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა წითელ არმიელები გადაგვიყვანეს უმცროს მეთაურთა სკოლაში. პირველ დღიდანვე დაგვაწყებიეს მეცადინეობა, რასაც თითეულმა ჩვენგანმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი.

სპეციალური სწავლების გარდა სკოლაში გაჩაღებულია კულტურულ-პოლიტიკური ხასიათის მუშაობა. მოვაწყვეთ ლენინის კუთხე, მოგვდის ყველა ჟურნალ გაზეთები და სხვა.

ჩამოვაყალიბეთ აგრეთვე წრეები, როგორიცაა: ლიტერატურული, პოლიტიკური, დრამატიული და სხვები.

ხშირად კეთდება მოხსენებები აქტიურ ამხანაგებისაგან სხვადასხვა საკითხებზე.

საერთოდ ჩვენი მომზადების საქმეს დიდი ყურადღება ექცევა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ღირსეულად შევასრულოდ მოცემული დავალებები.

კურ. გრიშა ბარათაია

## საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

მთელ რესპუბლიკაში არჩევნები დაიწყო ა. წ. 1 თებერვლიდან. ამჟამად არჩევნები მიმდინარეობს 11 მაზრაში. ყველა მაზრებიდან შინ. სახ. კომისარიატი, რომელიც არის ცენტრალურ საარჩევნო კომისიის აპარატი, ღებულობს ცნობებს არჩევნების მიმდინარეობის შესახებ.

დღემდე მიღებულ ცნობების თანახმად არჩევნების შედეგი ასეთია:

8 თემში უკვე დამთავრდა არჩევნები.

ყველგან არჩეულია 157 დეპუტატი. აქედან 17 კომუნისტია, 5 კ. პ. კანდიდატი, 15 კომკავშირელი და 11 ქალი.

### ზორის მაზრა.

არჩევნები სწარმოებს 40 თემში. დასრულდა არჩევნები მხოლოდ 2 თემში.

მთელ მაზრაში აირჩიეს 110 დეპუტატი აქედან. 9 ქალი, 20 კომუნისტი და 8 კომკავშირელი.

### დუშეთის მაზრა.

მაზრაში 20 თემია; არჩევნები დასრულდა 11 თემში.

მთელ მაზრაში საბჭოს წევრებათ აირჩიეს 310 წარმომადგენელი. აქედან 29 კომუნისტია, 26 კანდიდატი და 30 კომკავშირელი.

### თელავის მაზრა.

თელავის მაზრაში არჩევნები ჩატარდა 11 თემში. მოსახლეობის მონაწილეობა ყველგან ცხოველია.

სულ მაზრაში არჩეულია 523 დეპუტატი. აქედან 40 კომუნისტი 30 კანდიდატი 59 კომკავშირელი.

— ზემო სვანეთში. არჩევნები ჩატარდა 2 თემში. აირჩიეს 18 წარმომადგენელი, 2 კომ. 2 კანდიდატი და 2 კომკავშირელი.

—ზუგდიდის მაზრაში არჩევნები ჩატარდა 4 თემში, აირჩიეს 106 წარმომადგენელი, 19 კომუნისტი, 4 კანდიდატი და 7 კომკავშირელი.

— ქუთაისის მაზრაში არჩევნები დასრულდა 12 თემში სულ სულ აირჩიეს 756 წარმომადგენელი. აქედან 45 კომუნისტია, 43 კანდიდატი და 20 კომკავშირელი.

—ლეჩხუმში არჩევნები ჩატარდა 2 თემში. აირჩიეს 78 დეპუტატი.

— შორაპნის მაზრაში არჩევნები დასრულდა 1 თემში. აირჩიეს 23 დეპუტატი.

ცენტრ. საარჩ. კომისიის

მდივანი ქუჩულორია.

**სამხკორებო! ახლოვდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლისა და წითელ არმიის 8 წლის თავი. გამოაგზავნეთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, კორესპონდენციები ამ დღესასწაულის შესახებ.**

## უცხოეთის არმიებში

### მღელვარება ინგლისის ფლოტში.

ინგლისის სამხედრო ფლოტი ამ უკანასკნელ ხანებამდე ძლიერ საიმედოთ ითვლებოდა კომუნისტური „სენის“ გავრცელებისაგან. მღელვარებისა და გაფიცვების დროს ინგლისის მთავრობას სხვაზე უფრო საიმედოთ მიაჩნდა მეზღვაურები. მათი საშვალებით აქრობდენ მუშათა მღელვარებას.

მაგრამ დრონი იცვლებიან. ინგლისის ბურჟუაზიას მეზღვაურებშიდაც ეკარგება გავლენა. ამის მაჩვენებელია ინგლისის საადმირალოს მიერ გამოცემული ბრძანება, რომლითაც სასტიკად აკრძალულია მეზღვაურებში და საზოგადოთ საზღვაო ფლოტში კომუნისტური პროპაგანდა. ბრძანება გამოწვეული იყო ფლოტში კომუნისტური ლიტერატურის გავრცელების გამო, მთავრობის წინაალმდეგ წარმოებულ აგიტაციისა და „ინტერნაციონალის“ მღერის გამო. ზოგიერთ გემზე სადილობის დროს მეზღვაურების მაგიდაზე ამართული იყო წითელი დროშები

შორეულ აღმოსავლეთის ესკადრის შემადგენლობა დიდი სიმპატიით უცქეროდა შანხაიში (ჩინეთი) მომხდარ მუშების მღელვარებას.

იყო შემთხვევები, რომ მეზღვაურები არ ემორჩილებოდნენ ოფიცრების განკარგულებას. ყველა ეს დიდ საშიშროებას იწვევს მთავრობაში. მეზღვაურები გაფრთხილებულ იქნენ, რომ „ინტერნაციონალის“ მღერისა და კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის ისინი გადაცემული იქნებიან სამხედრო საველე სასამართლოზე.

მეზღვაურების რევოლიუციონური განწყობილება უფრო აშკარა სახეს ატარებდა კრეისერ „ვინდიკტზე“. თუ რა მოხდა გემზე ძნელია იმის გამორკვევა, რადგან მთავრობა ფარავს სინამდვილეს. ცნობილია მხოლოდ, რომ გემზე მოხდა მეზღვაურების დემონსტრაცია როდესაც გემი ზღვაზე იყო გასული. ქ. პორტსმუტთან მიახლოების დროს ნაპირზე აშკარად მოისმოდა გემიდან „ინტერნაციონალის“ ხმა. სხვა ცნობები ამ მღელვარების შესახებ გამოურკვეველი დარჩა, რადგან აღნიშნული კრეისერი იმ წუთშივე იქნა გაგზავნილი შორეულ ოკეანებისაკენ.

საზღვაო ბაზებში ხშირია მეზღვაურთა შორის მღელვარება. ყველა ეს მუშათა მოძრაობის ფორმის გამწვავებასთან ერთად დიდათ აფიქრებს ინგლისის მთავრობას.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. გ. ლეჟავას გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ 2-რი თვით და ამავე მიზნისათვის ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს;

მე-2-რე ქარ. მსრ. ლეგიონიდან: სამხ. კომ. ამხ. ელიაშვილს, ლეგ. თავს ამხ. თავაძეს, სამნეო ნაწილის უფროსს ამხ. მჭედლიშვილს, ხაზინადარს ამხ. ჭელიძეს. შტაბის უფ. ამხ. ჩიხლაძეს, ბ. კ. მდივანს ამხ. ეძგვერაძეს, ათასეულის თავებს ყველას: აბულაძეს, გურგენაძეს და ქართველიშვილს; ლეგ. სკოლის უფ. ამხ. ბუაჩიძეს, სამკ. გამგეს ამხ. ჩიხლაძეს, ბიბლიოთეკის გამგეს ამხ. მ. ჩხიკვიშვილს. პოლიტ-ხელებს ამხ. ამხ. სალაძეს, გუჯაბიძეს, ქერქაძეს, ბურდულაძეს, გვარჯალაძეს, გოგუაძეს და გულდორდავას.

სამხედრო პოლიტ-სკოლის კურსანტებს: ამხ. ამხ. ბარკალაიას, აბზიანიძეს, კაკუბაძეს; ტერნაწილის პოლიტ-ხელებს, ამხ. ამხ. ვ. ალავიძეს, მ. გიორგობიანს, ა. მახარაძეს და გ. ლომიას.

პოლიტ-ხელი პ. ცოტაძე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**ფხიზელს.** სამხატვრო სასწავლებელში შესვლა შეგიძლიათ უფროსის ნებართვით.

**ჯორბენაძეს.** საჰაერო ფლოტის უფროსს მიმართეთ, რომ გადმოგიგზავნონ თქვენი იქ სამსახურის შესახები საბუთები.

**მაცხ-ნაშვილს.** თქვენ როგორც წითელარმიელს უფლება არ გაქვთ სამოქალაქო ტანსაცმელის ტარება.

**ქვარაცხელიას.** პარტსკოლაში მიღება იწყება აგვისტოდან.

**რამიშვილს.** სამხედრო კოოპერაციაში შეგიძლიათ ჩაეწეროთ წევრათ და უნდა გადაიხადოთ საწევრო გადასახადი. ტყიბულის კოოპერაცივში შეტანილი ფული აქ ახედველობაში მიღებული არ იქნება.

**სუხაშვილს.** თუ თქვენ თქვენი მუდმივი სამსახურის ადგილიდან იყავით მივლინებული სხვა წერტზე წვევამდელებთან სამეცადინოთ, მაშინ გეკუთვნით საათების ფული.

**უმცროს მეთაურს.** მხოლოდ ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურებს ეძლევათ წერტებზე მეცადინეობის ფული, თუ ისინი თავის სამსახურის ადგილიდან სხვაგან იყვნენ გაგზავნილნი.

**ლლონტს.** გაწვევიდან განთავისუფლებული არ იქნებით. კონკრეტიულ შემთხვევებში შეიძლება განთავისუფლდეთ, მხოლოდ უფროსის ნებართვით.

**გუგუშვილს.** არავითარი შეღავათებით არ სარგებლობთ. გამოცდები უნდა ჩააბაროთ ისე, როგორც სხვები.

**პაიჭაძეს.** 1925 წ. მაისში გამოწვეულები უვადო შვებულებაში წავლენ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

**ბ—ძეს.** თუ წინად ორი წელიწადი არ გიმსახურიათ, ისე ეხლა, როგორც 1903 წ. დაბადებულს, ნამდვილ სამსახურათ არ ჩაგეთვლებათ. უნდა იმსახუროთ ორი წ.

**ქ—იან.** მეორე ხარისხის შეღავათი ჯარიდან არ განთავისუფლებთ.

**ელაგინს.** შეღავათები იძლევა გაწვევის დროს.

**ბ—ოვს.** სამსახურის გათავების შემდეგ აღდგენილი იქნებით ძველი სტაჟით პროფკავშირის წევრად.

**თალაკვაძეს.** თუ ნაწილს აქვს მეორე ვადის ტანსაცმელი მოგეცემათ.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქარ. მსრ. ლეგიონის მე-5-თე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის—კანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. ვასილი დიმიტრისძე ოქრუაშვილს (ა. ლ. კ. კ. წევრი 1925 წლიდან, დაბადებული 1902წ. მცხოვრები ქალ. თბილისში). გთხოვთ თუ ვინმემ იცით რაიმე უარყოფითი ამხ. პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ზემო აღნიშნული მისამართით, წერილობით ან სიტყვიერათ დღეის რიცხვიდან 28 თებერვლამდე 1-ლი ლეგ. მე-5-თე ასეულის კომ უჯრედის პ. მ. მ. ოკრიბელაშვილი.

მე-3 ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: დარახველიძე ანდრო ივანესძე, კრაწაშვილი გიორგი ივანესძეს, ელიოზ შავლ. კაპევს, ივანე გეორგისძე ქინთარიას, ალექსანდრე ირაკ. ჯახუტაშვილს და ვარლამ რედონაიას, პარტიის წევრად მიღების შესახებ.

უპარტიო ამხანაგებს: (თხოულობენ კომპ. კანდიდატათ მიღებას) ვასილ კამოსძე კოსიევს, ილო თომასძე მეზვრიშვილს, ლუკა იონესძე დგებუაძეს, მალაქია ანტონისძე ჩიხრაძეს, მოსე ივანესძე ალადაშვილს, თედო კიკოლაშვილს, გერასიმე ივ—ძე კოჩეჩიძეს და ალექსი სტეფ. ირემაშვილს.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათი მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ 3-მე ქართ. ლეგიონის ბიურო-კოლექტივში.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ხიმონგულოვი